განკარგულება:**g-31. 31243599**
თარიღი:**24/12/2024**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №66

2024 წლის 24 დეკემბერი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ციალა ლომაძისთვის (პ/ნ 26001003806) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 115-ე მუხლის პირველი ნაწილისა და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, ციალა ლომაძეს (პ/ნ 26001003806) გადასცეს პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, 2 (ორი) წლის ვადით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ლანჩხუთში ჟორდანიას ქ. N 126-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში (ს/კ 27.06.51.005) არსებული 15,50 კვ.მ. არასაცხოვრებელ ფართი N 20 (ს/კ 27.06.51.005.01.523).

მუხლი 2. პირველი მუხლით გათვალისწინებული უძრავი ქონების წლიური ქირის ოდენობად განისაზღვროს საბაზრო ღირებულების 16430 (თექვსმეტიათას ოთხასოცდაათი) ლარის 10%-ის ოდენობით რაც შეადგენს 1643 (ათასექვსასორმოცდასამი) ლარს.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N26 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი